მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

თებერვალი, 2024

ძირითადი ცვლილებები

- 2024 წლის იანვარში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 8.5 პროცენტი, ხოლო 2023 წლის საშუალო ზრდა 7.5 პროცენტზე დაფიქსირდა

- თებერვალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.3 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.6 პროცენტს

- იანვარში ექსპორტი შემცირდა წლიურად 26.2 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 10.1 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 1.2 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 664 მლნ აშშ დოლარს

- იანვრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 1.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და გაუფასურდა 0.3 პროცენტით წინა თვესთან

- თებერვალში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა არ ჩატარებულა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.0 პროცენტზეა

იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის IV კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 6.8 პროცენტია, ხოლო 2023 წლის საშუალო ზრდა 7.5 პროცენტზე დაფიქსირდა. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ იანვარში წინა თვესთან შედარებით -1.0 პროცენტი შეადგინა.

- 2024 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია.

- კლება დაფიქსირდა ვაჭრობის, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში.

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



ეკონომიკური ზრდა 2023-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის მესამე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 7.0 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 III კვარტალი



მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 III კვარტალი



წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკა 7.0 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 8.1 პროცენტით. 2023 წლის მესამე კვარტლის ზრდა 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით 25.6 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2023 წლის მესამე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 28.1% (0.5 პ.პ.)
  - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 23.5% (0.3 პ.პ.)
  - ტრანსპორტი და დასაწყობება: 21.3% (2.0 პ.პ.)
  - მშენებლობა: 18.2% (1.1 პ.პ.)
  - განათლება 17.3% (0.7 პ.პ.)
  - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები 15.4% (0.8 პ.პ.)
  - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 14.2% (0.8 პ.პ.)
  - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: 9.7% (0.9 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები: -2.6% (-0.02 პ.პ.)
  - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები : -12.1% (-0.4 პ.პ.)

თებერვლის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.3 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია





წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი იანვარში წლიურად გაიზარდა 1.2 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



- იანვარში ექსპორტი წლიურად შემცირდა 26.2 პროცენტით და გაუტოლდა 338.6 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 38.9 პროცენტით და გაუტოლდა 158.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 10.1 პროცენტით და გაუტოლდა 1 002.7 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 1.2 პროცენტით და გაუტოლდა 664.1 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა -4.3 პროცენტი (-9.9 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა უარყოფ ითი 19.2 პროცენტიანი წვლილი (-63.6 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა -6.6, 2.8 და -6.2 პროცენტი, შესაბამისად.

ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, იანვარი



- **ექსპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 112.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 33.1 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 19.4 მლნ აშშ დოლარი - 5.7 პროცენტი.
  - ყურძნის ნატურალური ღვინოები: 18.0 მლნ. აშშ დოლარი - 5.3 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 101.4 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 10.1 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 80.4 მლნ აშშ დოლარი - 8.0 პროცენტი.
  - ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა: 66.8 მლნ აშშ დოლარი - 6.7 პროცენტი.
- **ექსპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ყირგიზეთი: 46.2 მლნ. აშშ დოლარი - 13.7 პროცენტი.
  - რუსეთი: 41.6 მლნ. აშშ დოლარი, - 12.3 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 40.9 მლნ. აშშ დოლარი, - 12.1 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ევროკავშირი: 254.2 მლნ. აშშ დოლარი, - 25.4 პროცენტი.
  - თურქეთი: 203.1 მლნ. აშშ დოლარი, - 20.3 პროცენტი.
  - რუსეთი: 148.4 მლნ. აშშ დოლარი - 14.8 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

2024 წლის იანვარში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 43.3 პროცენტიანი კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2024-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, იანვარი 2024

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	64.2	-75.7	-47.9
იტალია	43.4	11.5	1.1
აშშ	36.8	36.3	2.3
საბერძნეთი	17.0	2.9	0.1
ისრაელი	17.4	4.8	0.2
გერმანია	15.5	15.9	0.5
სხვა	43.3	4.3	0.4

- 2024 წლის იანვარში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 237.5 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 43.3 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 137.1 პროცენტით მეტია.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - ერაყი: 602.7 პროცენტი (0.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - ირლანდია: 64.5 პროცენტი (0.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - საფრანგეთი: 14.2 პროცენტი (0.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - რუსეთი: -75.7 პროცენტი (-47.9 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - აზერბაიჯანი: -62.9 პროცენტი (-0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - თურქეთი: -48.6 პროცენტი (-0.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყირგიზეთი: -45.5 პროცენტი (-0.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

იანვარში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.9%-ით გამყარდა

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	1 მარტი, 2024	1 მარ 2024 - 1 იან 2023	1 მარ 2024 - 1 იან 2022
ევრო	2.8839	▲ 0.0%	▲ 21.3%
აშშ დოლარი	2.6599	▲ 1.6%	▲ 16.1%
თურქული ლირა	0.0852	▲ 69.4%	▲ 171.4%
რუსული რუბლი	0.0293	▲ 25.6%	▲ 40.8%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	191.66	▲ 16.5%	▲ 46.2%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იანვარი 2024)	147.98	▲ 1.9%	▲ 17.1%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

იანვარში საგადასახადო შემოსავლები 7.5 პროცენტით აღემატება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, თებერვალი 2024



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2024 წლის თებერვალში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,707 მლნ ლარი, რაც 7.5 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2024 წლის იანვარში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 13.9 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 26.4 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 400.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა 12.4 მლნ ლარით.
- 2024 წლის იანვარში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა, შესაბამისად 7.2 და 5.8 პროცენტიანი კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თებერვალში სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილებები განიცადა

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (29 თებერვალი)



- 2024 წლის თებერვალში ჩატარდა 6 გამოშვების, 2 გაცვლისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 407.99 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.28%-ზე დაფიქსირდა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 225 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები. განხორციელდა 50 მლნ ლარის ღირებულების სახაზინო ობლიგაციების გაცვლა.
- სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. 2024 წლის 29 თებერვლისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 39.1% ფორმირებულია (წინა პერიოდში 40.9% იყო) იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-დან 5 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 29%). 5 წლიანი დაფარვის მქონე ფასიანი ქაღალდების წილი 15.6%-დან 18.6%-მდე გაიზარდა.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (იანვარი 2.02) შედარებით შემცირდა და 1.98 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

იანვარში სესხებისა და დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებლები გაიზარდა

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2024 წლის 31 იანვრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.3 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 71.6 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.4 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 49.4 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 75.1 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 34.8 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 54 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 48.7 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 43.5 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სესხების წლიური ზრდის ტემპები მაღალ დონეზე ნარჩუნდება







- 2024 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.9 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 19.7 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 14.4 პროცენტს შეადგენს.
- 2024 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 17.2 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 16.5 პროცენტს გაუტოლდა.
- 2024 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 18.8 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 25.4%-ით, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 13.5 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

დეპოზიტების წლიური ზრდა კვლავ სტაბილურად მაღალია







- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის 31 იანვრის 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.2 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 29.6 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 5.5 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 15.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 16.4 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2024 წლის თებერვლის დასაწყისში შეადგინა 9.5 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 29.1 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 6.9 პროცენტი.

წყარო: სებ

თებერვალში 9 პროცენტიანი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მოქმედებდა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ

- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა 2024 წლის თებერვალში არ გამართულა. შესაბამისად, ამ პერიოდში 9 პროცენტიანი რეფინანსირების განაკვეთი მოქმედებდა.

- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის მიზეზებია როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორები; რუსეთ-უკრაინისა და პანდემიისაგან გამოწვეული საგარეო შოკები შესუსტებულია, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მათ როლს ინფლაციის ფორმირებაში. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ფასების ზრდის კლება და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გავლენები ფასებზე. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიმდინარე წლის თებერვალში ფაქტობრივმა ინფლაციამ 0.3 პროცენტი შეადგინა. მას კვლავ შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ტენდენციებისა ინფლაციის ზრდის რისკები მაღალ დონეზე რჩება, რაც მწვავე გეოპოლიტიკური სიტუაციათან ერთად სებ-ს უბიძგებს მონეტარული პოლიტიკის ნელი ტემპით შერბილებისაკენ.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2024 წლის 13 მარტს ჩატარდება.

- 2024 წლის თებერვალში ეროვნულ ბანკს სავალუტო ბაზარზე რამოდენიმე ჩარევა განახორციელა. ამ პერიოდში სებ-მა პლატფორმა Bmatch-ის საშუალებით 77.5 მლნ აშშ დოლარი იყიდა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე მზარდია

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2024 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.8 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.9 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.8 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.9 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.7 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 13.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.3 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.0 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.8 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის იანვრის ბოლოს 13.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.4 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.4 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო